

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 4

ქ.ვანი თავისუფლების N65

16 ივნისი 2021 წელი

11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, გელა ღვიტიძე, გიგა გოგიბერიძე, ამირან ტალახაძე, თორნიკე ერისთავი, აპოლონ რამიშვილი, თენგიზ დვალიშვილი. დავით ხარძეიშვილი, ეთერ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჭვალაძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: კობა ძაგნიძე, ამირან ტალახაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

დანართი N1

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **რამაზ არველაძე (კომისიის თავმჯდომარე)**

მოწვეული პირი: ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი - გიგა ბუაძე.

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კვიციანი**.

დღის წესრიგი

1. ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: გიგა ბუაძე

გადაწყვეტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გიგა ბუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის ანგარიშის მოსმენა 2020 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა მოკლედ განმარტა, რომ ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2020 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამების ბიუჯეტი შეადგენს

83000 ლარს, რომელიც 9000 ლარით მეტია 2019 წლის სავალდებულო მუნიციპალური პროგრამებით განსაზღვრულ დაფინანსებაზე.

2020 წლის განმავლობაში ა(ა)იპ ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხარჯვითი ნაწილი შეადგენს 75767 ლარს, რომელიც გადანაწილებულია სხვადასხვა საჭიროებებზე.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი აგრეთვე მონაწილეობს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამებში. რომლის ფარგლებში მიღებულმა დაფინანსებამ შეადგინა 18605.0 ლარი.

კომისიის წევრებმა წარმოდგენილი საკითხი მიიღო ცნობის სახით, ასევე მადლობა გადაუხადეს მომხსენებელს ინფორმაციის მოწოდებისთვის.

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ რამაზ არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის სხდომის თავმჯდომარე